



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2013 წლის 22 ივლისი
 №958 დადგენილებით

მოდულიზებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013
 წლის 8 ოქტომბრის
 №984 დადგენილებით

მქსოველი (ტრიკოტაჟის ნაწარმის და ა.შ.) - 080363

Knitter (knitted products, etc.)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – მქსოველი (ტრიკოტაჟის ნაწარმის და ა.შ.)
- II. პროფესიული განათლების საფეხური – მეოთხე
- III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია მქსოველის (ტრიკოტაჟის ნაწარმის და ა.შ.) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. პროგრამის მოცულობა – 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.
 აქედან:
 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 435; დამოუკიდებელი - 409, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 56)
 24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 600)
- V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- VI. პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის მქსოველი (ტრიკოტაჟის ნაწარმის და ა.შ.), რომელსაც პროფესიული სწავლების IV საფეხურის შესაბამისად შეეძლება თეორიულ ცოდნაზე დამყარებით ნაწარმის კონსტრუირება, ხელისა და საქსოვი მანქანების ტექნიკური ხლართების შესრულება და მანქანა დანადგარებთან მუშაობა.

VII. სწავლის შედეგი:

მისალწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p>ცოდნა და აცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შეასაძლებლობებს.</p>	<p>აქვს ტრიკოტაჟული ნაწარმის ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესზე დამყარებული თეორიული ცოდნა. იცის ნაწარმის კონსტრუქციისა და მისი ელემენტების დეტალური დახასიათება, ხელისა და საქსოვი მანქანების ხლართების ტექნიკური შესრულება, ტრიკო-ტაჟული მანქანების ტექნოლოგიური რეგულირება, ერკვევა მუშა ინსტრუმენტებში და აცნობიერებს მათთან მუშაობის სპეციფიკას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეიმუშაოს სტრატეგია ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია მსუბუქი ტრიკოტაჟული ნაწარმის ასორტიმენტის ტექნოლოგიური დამუშავების ძირითადი პრინციპებისა და ოპტიმალური მეთოდების გამოყენებით ხარისხიანი ნაწარმის შესრულება. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა ტრიკოტაჟული ნაწარმის შესრულების პროცესში, სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება შესასრულებელი ამოცანის გადასაჭრელად და მიღებული შედეგების შეფასება სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, შეუძლია დამოუკიდებლად</p>

		შეიმუშაოს ტრიკოტაჟული ტანსაცმლის მსუბუქი ასორტიმენტის ძირითადი ნაწილების საწყისი დამუშავების ხერხები, შეადგინოს ნაწარმის კერვის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, გაითვალისწინოს დამუშავების თავისებურებანი, შეუძლია შერჩეული დამუშავების მეთოდით ნიმუშის დამზადება. ბავშვის, ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტრიკოტაჟული ნაწარმის ძირითადი დეტალების გაფორმება. ნაწარმის თერმული დამუშავების ოპერაციების შესრულება.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის	შეუძლია ტრიკოტაჟული ნაწარმის კერვის სპეციფიური პრობლემების გააზრება, პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განხილვა, შერჩევა და მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ტრიკოტაჟული ნაწარმის მქსოველის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია ესკიზური ტექნიკური და კონსტრუქციულ-ეკონომიკური პროექტების წაკითხვა და ინფორმაციის გადამუშავება, რომელთა გადაწყვეტა თავის მხრივ მოიცავს ნაწარმის მაღალკვალიფიციურ შესრულებას. შეუძლია უცხო ენაზე სპეციალური, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულე-ბების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვ-რეტად, თუმცა ნაწილობრივ	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება ტრიკოტაჟის ასორტიმენტის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს: შრომის უსაფრთხოების დაცვას, სამუშაო დროის ორგანიზებას და პუნქტუალურობას. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები, იცავს შრომის ეთიკისა და მორალის ნორმებს, ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.

VIII. დასაქმების სფერო: ტრიკოტაჟის ნაწარმის მქსოველის დასაქმების სფეროს წარმოადგენს: მოდის დიზაინის კომპანიები, მცირე და მსხვილი ტრიკოტაჟული საწარმოები, ფაბრიკები, მოდების ატელიე. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტში: ინდ. კერვა, ინდ. მეწარმეობა, კერძო/მცირე ბიზნესი.

IX. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	სასწავლო კურსის კოდი	ცოდნადა გაცნობიერება	ცოდნისკ რაქტიკაში იგამოყენების უნარი	დასკვნი სუნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ტრიკოტაჟის ტექნოლოგია (მოსამზადებელი, საგამომჭრელო, სამკერვალო საამქროები)	KNTET05	X	X			X	X
ინგლისურიენა B1	ENG4P07	X	X		X		
ინფორმატიკა 1	INF1P08	X	X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN05	X	X	X			
ტრიკოტაჟის ნაწარმის მისაღები მანქანა-დანადგარები, ხელის მანქანა	KNPMA05	X	X				X
ტრიკოტაჟის ნაწარმის მოდელების შექმნის მეთოდები	MCMKP05	X	X			X	
ტრიკოტაჟული ნაწარმის ასორტიმენტი (მისი დამოუკიდებლად შესრულება)	KPRPE05	X	X			X	

**X. სასწავლო გეგმა
I სემესტრი**

საგანი	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა					დამოუკიდებელისათები	სულსათებისრაოდენობა
			საკონტაქტოსათები						
			ლექცია/პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლოპრაქტიკა	საწარმოპრაქტიკა	შუალედური/დასკვნითიშეფასება		
ტრიკოტაჟის ტექნოლოგია (მოსამზადებელი, საგამომჭრელო, სამკერვალო საამქროები)	KNTET05	3 12	30		300		6/2	37	75 300
ინგლისურიენა B1	ENG4P07	5	60				6/2	57	125

ინფორმაცია 1	INF1P08	5	60			6/2	57	125	
მეწარმეობის საფუძვლები	BAOEN0 5	5	60			6/2	57	125	
სულ I :		30	210		300		32	208	750

II სემესტრი

საგანი	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტებისრაოდენობა	საათებისრაოდენობა						სულსაათებისრაოდენობა
			საკონტაქტოსაათები					დამოუკიდებელსაათები	
			ლექცია/პრაქტიკული/სემინარი	ლაბორატორიული	სასწავლოპრაქტიკა	საწარმოპრაქტიკა	შუალედური/დასკვნითიშეფასება		
ტრიკოტაჟის ნაწარმის მისაღები მანქანა-დანადგარები, ხელის მანქანა	KNPMA0 5	6 12	75			300	6/2	67	150 300
ტრიკოტაჟის მოდელების მეთოდები	MCMKP0 5	6	75				6/2	67	150
ტრიკოტაჟული ასორტიმენტი (მისი დამოუკიდებლად შესრულება)	KPRPE05	6	75				6/2	67	150
სულ II :		30	225			300	24	201	750
სულ		60	435		300	300	56	409	1500

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას;
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(B)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- წერიტი დავალება;
- პრაქტიკის ანგარიში/პრეზენტაცია

(სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილეთ სასწავლო კურსის სილაბუსებში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის დღიურებში (დანართი 1, დანართი 2))

XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;
პრაქტიკული მეცადინეობა;
სასწავლო პრაქტიკა;
საწარმოო პრაქტიკა;
დამოუკიდებელი სამუშაო.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები იხილე სასწავლო კურსის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სასწავლო კურსის კოდი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მწარმოების საფუძვლები	BAOEN05	გიორგი მაისურაძე	ეკონომისტი
ინგლისურიენა B1	ENG4P07	ანა ვანიშვილი	ინგლისური ენის სპეციალისტი
ინფორმატიკა 1	INF1P08	ოქრომელიძე ელენე	ინჟინერ-ელექტრიკოსი (ელექტრო-გამომთვლელი მანქანები)
ტრიკოტაჟის ტექნოლოგია (მოსამზადებელი, საგამომჭრელი, სამკერვალო საამქროები)	KNTET05	რეხვიაშვილი ნათელა	ტრიკოტაჟული ნაწარმის ინჟინერ-ტექნოლოგი
ტრიკოტაჟის ნაწარმის მისაღები მანქანა-დანადგარები, ხელის მანქანა	KNPMA05	რეხვიაშვილი ნათელა	ტრიკოტაჟული ნაწარმის ინჟინერ-ტექნოლოგი
ტრიკოტაჟის ნაწარმის მოდელების შექმნის მეთოდები	MCMKP05	რეხვიაშვილი ნათელა	ტრიკოტაჟული ნაწარმის ინჟინერ-ტექნოლოგი
ტრიკოტაჟული ნაწარმის ასორტიმენტი (მისი დამოუკიდებლად შესრულება)	KPRPE05	რეხვიაშვილი ნათელა	ტრიკოტაჟული ნაწარმის ინჟინერ-ტექნოლოგი

XV.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს 1 კორპუსი, პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების დეპარტამენტის სასწავლო საწარმოო-ლაბორატორია.

XVI. საწარმოსწავლება/სასწავლო პრაქტიკა

პრაქტიკა ხორციელდება (იხ. დანართი 3).

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

მიღებულია

მოდიფიცირებული სახით

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №1, 20.09.2013წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გოგი ძიძიგური